სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

32469347575319

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190337118

რეგისტრაციის თარიღი

28.03.2019 წ

ნოტარიუსი: ლია გოგია
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 46
ტელეფონი: 2997950

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდარვა მარტს მე, ნოტარიუს ლია გოგიას, სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. 46) მომმართა **ვალენტინა საყვარელიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დირექტორი და სურს შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს სახელით **დემური ჭრიკიშვილის** მიმართ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ვალენტინა საყვარელიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ვალენტინა საყვარელიძემ** (დაბადებული 08.11.1951წ. პ/#01011008374, პ/მოწ. #11IB29271, გაცემული 09.01.2012წ. იუსტიც. სამინ. მიერ, მცხოვრები თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. #9ა, ბ. 4,) მომმართა. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება ამონაწერით, მომზადების თარიღი: 15/12/2017წ. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17135539, საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე მისი პროექტი. მე, ნოტარიუსმა, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე **ვალენტინა საყვარელიძეს** და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე ის, რომ მარწმუნებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა. **ვალენტინა საყვარელიძემ** დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას. მან პირადად წაიკითხა და მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

„მე **ვალენტინა საყვარელიძე,** როგორც შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დირექტორი, **დემური ჭრიკიშვილს** (დაბ.09.09.1981წ. თბილისში, პ/#01028002162) ვანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

დემური ჭრიკიშვილი უფლებამოსილია იყოს **შპს “თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”-ს** წარმომადგენელი ქ.თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, გამგეობებში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, სანოტარო ბიუროში.

დემური ჭრიკიშვილი უფლებამოსილია აწარმოოს მშენებლობასთან/დაშენებასთან/მიშენებასთან და/ან ფართის დაზუსტებასთან დაკავშირებული საქმიანობა, შეიტანოს განცხადება, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც **შპს “თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”-ს** დირექტორის სახელით შესაბამის დოკუმენტებს, შეასრულოს აზომვითი ნახაზები, შეადგინოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მათ შორის მიიღოს მშენებლობის უფლება, ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს ნებართვები, შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა და/ან დოკუმენტი, დაარეგისტრიროს აზომვითი ნახაზი მარეგისტრირებელ ორგანოში და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნული დავალების შესრულებასთან.

ეს მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე, სამი თვის ვადით და ძალაშია 2019 წლის 28 ივნისამდე.“

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლია გოგიას არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს რომელიც რჩება ნოტარიუსის არქივში თან ერთვის შპს“თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”-ს ამონაწერი.

გადახდილია სანოტარო საზღაური “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 31-ე მუხლის თანახმად ათი(10) ლარი, ასევე 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი(2) ლარი.

შპს “თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”-ს
დირექტორი **ვალენტინა საყვარელიძე:** ვალენტინა საყვარელიძე

ნოტარიუსი ლია გოგია: